ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ბორჯომის მუნიციპალიტეტი

განკარგულება:**გ-17. 172305510**
თარიღი:**24/02/2023**

საკრებულოს გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად

1. ცნობად იქნეს მიღებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის **მერაბ იობაშვილის** ანგარიში - 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქ #62)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი:**17-17230534**
თარიღი: **22/02/2023**

ადრესატი:

დავით ზაალიშვილი
ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 132-ე მუხლის თანახმად წარმოგიდგენთ გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის ანგარიშს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

საანგარიშო პერიოდში კომისია თავის უფლებამოსილების ფარგლებში ატარებდა კომისიის სხდომებს, ამზადებდა საკრებულოს სხდომის საკითხებს, ხელს უწყობდა და ახორციელებდა კონტროლს თვითმართველობის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაზე.

2022 წელს კომისიის შემადგენლობა განსაზღვრული იყო 11 წევრით.

2022 წელს გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიაში შემოსულია 51 (ორმოცდათერთმეტი) განცხადება, მათ შორის 35 განცხადება მოქალაქის და 16 (თექვსმეტი) განცხადება სხვადასხვა იურიდიული პირის. აღნიშნულ პერიოდში კომისიის მიერ მომზადებული იქნა 9 (ცხრა) სხდომის ოქმი.

2022 წელს კომისიის მიერ გაწეული მუშაობიდან მინდა გამოვყო რამოდენიმე შემთხვევა, კერძოდ;

· სს ენერგო-პრო ჯორჯიას წერილი, რომლის საფუძველზე გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის მიერ 2022 წლის თებერვალში მომზადდა დასკვნა, რომლის თანახმადაც ბორჯომის მუნიციპალიტეტში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 64.23.02.726, 64.23.02.728, 64.25.01.950, 64.26.01.671, 64.26.01.665, 64.26.01.039, 64.23.03.161) განხორციელდა არაწითელი ნუსხის სახეობის მინიმალური რაოდენობის ხე-მცენარის მოჭრა, ხოლო მერქნული რესურსი გადაეცა ეროვნულ სატყეო სააგენტოს.

· 2021 წლიდან დაიწყო კოსტავას სახელობის ბაღის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, სამუშაოების სათანადოდ ჩატარებას ხელს უშლიდა ბაღის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ჯიშის მრავალწლოვანი ნარგავები, აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიის მიერ მოხდად ადგილის დათვალიერება, რომლის შემდგომაც მომზადდა რეკომენდაცია და განხორციელდა მხოლოდ იმ ხეების მოჭრა-გადაბელვა, რომლებიც დაზიანდა ან და უშუალოდ ხელს უშლიდნენ სამუშაოების განხორციელებას.

· კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე ასევე განხორციელდა ა(ა)იპ ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის ტერიტორიაზე მდებარე მრავალწლოვანი ნარგავების დათვალიერება-აღწერა და ის ხე-მცენარეები რომლებიც არის დაფაუტებული, ხმელი და ხმობადი ჩაუტარდათ მოჭრა-გადაბელვა.

· კომისიის მიერ ადგილზე გასვლის და შესწავლის შემდგომ განხორციელდა IDS ბორჯომის მიერ წარმოდგენილი განცხადებების შესაბამისად მრავალწლოვანი ნარგავების მოჭრა-გადაბელვაზე თანხმობის გაცემა.

გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიამ დააყენა ინიციატივა ქ. ბორჯომში, ავტოსადგურის საყრდენ კედელზე, სილამაზის ხიდის საყრდენ კედელზე და ფაფის ხიდის მიმდებარედ არსებული ხეების მოჭრის შესახებ. აღნიშნული ხე-

მცენარეები ხელს უშლის და აზიანებს საყრდენ კედლებს, აქედან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია განხორციელებულიყო ხის მოჭრის სამუშაოები, ხოლო მერქნული რესურსი დასაწყობდა ა(ა)იპ „ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა“-ის ტერიტორიაზე.

მინდა ავღნიშნო, რომ 2022 წელს გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიას მომრთა შპს „მნ კომპანი“-მ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისის მიმდებარე ტერიტორიაზე ლიცენზიის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად ტერიტორიაზე არსებული მერქნული რესურსის მოჭრის თაობაზე, კომისიის მიერ განხორციელდა განცხადებაზე თანდართული მერქნული უწყისის შესაბამისად მრავალწლოვანი ნარგავების ადგილზე დათვალიერება და შესაბამისი დასკვნის მომზადება (07.06.2022 წელი N17-17221583).

იურიდიული პირების და მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე კომისიამ ადგილზე გასვლისა და არსებული მდგომარეობის შესწავლის შემდგომ მიიღო გადაწყვეტილება მრავალწლოვანი ნარგავების მოჭრა-გადაბელვის შესახებ, ასევე კომისიის მიერ განსაზღვრული იქნა აღნიშნული სამუშაოების განმახორციელებელი; კერძოდ ის მოქალაქეები რომლების არიან საპენსიო ასაკის მარტოხელა პირები, ან რეგისტრირებულები არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში კომისიის მიერ მომზადებული ოქმის საფუძველზე ხე-მცენარეების მოჭრა გადაბელვას განახორციელებს ა(ა)იპ „ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა“.

გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის მიერ ასევე მომზადებული იქნა რეკომენდაციები საზოგადოებრივ სივრცის (პარკი, სკვერი, ფეხით სავალი ნაწილი) მოწესრიგებისა და უსაფრთხოების მიზნით სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეების მოჭრა გადაბელვის შესახებ, მომზადებული რეკომენდაციის საფუძველზე ა(ა)იპ „ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა“-ის მიერ განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალწლოვანი ნარგავების მოჭრა გადაბელვა.

გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისია აქტიურად იყო ჩართული 2022 წელს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების მიერ ორგანიზებულ დასუფთავების აქციებში და გარემოს დაცვის სხვადასხვა ღონისძიებებში, რომელიც ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისია აქტიურად იყო ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძვნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების 2022 წლის ანგარიშების მოსმენაში რაზედაც გაფორმებულია 5 (ხუთი) სამართლებრივი აქტი, ასევე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დაგეგმარებაში.

ასევე მინდა ავღნიშნო, რომ გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისია აქტიურად არის ჩართული საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის N71 დადგენილებით განსაზღვრული სარეკრეაციო ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების მოჭრის, გადაბელვის და განკარგვის რეგულირების წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კომისიის მუშაობაში. ასევე მინდა ავღნიშნო, რომ კომისია აქტიურად მონაწილეობდა ,,ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილების შესაბამისად ბორჯომის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავებაში, შესაბამისად საკრებულოს მიერ 23.12.2022 წელს Nგ-17.17223577 განკარგულებით დამტკიცებული იქნა ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა.

მერაბ იობაშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე